

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ველფარ ინტერნეიშენალი“
ს/ნ 415091830

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
მომზადებული

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

თბილისი
2022

სარჩევი

- ❖ აუდიტორის დამოუკიდებლობის დეკლარაცია
- ❖ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
- ❖ მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1)	5
ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2)	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3)	8
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 4)	9

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებები და შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. სხვა საოპერაციო ხარჯები
8. ფინანსური ხარჯები
9. ფული და ფულადი ექვივალენტები
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
11. კაპიტალი
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები
13. მიღებული სესხები
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
15. პირობითი ვალდებულებები
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები
2. საქმიანობის განვითარების გეგმები
3. დასაქმებულთა რაოდენობა და საკადრო პოლიტიკა
4. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია

შპს „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს
დირექტორს - ბატონ
ანარ გასიმოვს, P4409250,
C01292010,01097000941/აზერბაიჯანი/

დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ბატონო ანარ, მე ლერი მჭედლიძე შპს „აუდიტ-რეფორმატორი“-ს გარიგების პარტნიორი / აუდიტორი ვადასტურებ, რომ პასუხისმგებელი ვარ ჩვენს შორის 2022 წლის 27 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებულ და შესრულებულ პროცედურებზე, რომელიც ეხებოდა შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს 2021 წლის საფინანსო ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებას.

ვადიარებთ პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დამოუკიდებლობის შესახებ და ვადასტურებთ, რომ ჩვენი აუდიტორული კომპანია და მისი ყველა თანამშრომელი მკაცრად იცავს IFAC-ის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ სტანდარტის მოთხოვნებს.

პროფესიონალური მომსახურების შედეგებზე დაყრდნობით, მე ლერი მჭედლიძე შპს „აუდიტ-რეფორმატორი“-ს გარიგების პარტნიორი / აუდიტორი ვიღებ ვალდებულებას, რომ ჩემს მიერ შედგენილ დასკვნაში ან სხვა დოკუმენტში, შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს მიმართ, აზრი გამოვხატო მისი ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, ყოველგვარი სხვა პირობის გათვალისწინების გარეშე.

პატივისცემით

შპს „აუდიტ-რეფორმატორი“-ს გარიგების
პარტნიორი / აუდიტორი
ლერი მჭედლიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

წარედგინება: შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს ხელმძღვანელობას და მმართველობის ორგანოს

ჩვენ ჩავატარეთ შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს (შემდგომი კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს პერიოდს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი წარმოადგენს ერთადერთ აღიარებულ და ხელმისაწვდომ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის სანდოობის ყველაზე მაღალ ხარისხს. ფინანსური ანგარიშგებით დგინდება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და მისი შესაბამისობა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც თავისთავში მოიცავს:

- ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების (მოგება-ზარალი), ფულადი სახსრების მოძრაობისა და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგების აუდიტს;
- საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების შესაბამისობის დადგენას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და კრიტერიუმების მიმართ.

ჩვენ აგრეთვე დავგეგმეთ ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შედგენის მართლზომიერების და მეთოდოლოგიურად სწორად წარმართვის საკითხების შემოწმება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ბუღალტრული აღრიცხვის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპს. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია :

- ამოირჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო პრინციპები და თანმიმდევრულად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს გონივრული და წინდახედული შეფასებები;
- განაცხადოს მოხდა თუ არა ფასს-ების მოთხოვნების დაცვა, ხოლო არსებითი დარღვევის შემთხვევაში განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის პრინციპით, ანუ იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში;
- შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციაში;
- აწარმოოს და შეინარჩუნოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელიც საიმედოდ და ზუსტად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას ნებისმიერი დროისთვის და რომელიც უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება იყოს ფასს-თან შესაბამისობაში;
- შეინარჩუნოს სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების დაცვით, იმ იურისდიქციის შესაბამისად, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს;
- იმოქმედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის აქტივების დაცვა და აღმოაჩინოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

აუდიტის პასუხისმგებლობა :

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება კომპანიის ფუნქციონალურ დატვირთვაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარმართვთ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკური ნორმების შესაბამისად.

აუდიტის მიერ გამოთქმული მოსაზრების ფორმა დამოკიდებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისი საფუძვლისა და კანონმდებლობის მოთხოვნებზე. აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, განმარტებებზე, აუდიტორული მტკიცებულების მოპოვებას. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს

ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. თუმცა, აუდიტის უშუალო მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობაზე.

აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებების სისწორის და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ განვახორციელეთ შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს ფაქტიური საქმიანობის სრული ანალიზი. ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისათვის გამოყენებულია პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების მოძრაობას 12 თვის მანძილზე და სრულდება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისათვის წარმოდგენილია პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, რომელიც შედგენილია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ აუდიტორული შემოწმების პროცესში, რომელიც ზემოთ არის განმარტებული, საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“-ს მიერ წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი ეყრდნობა გადახდის დამადასტურებელ პირველად საბუღალტრო დოკუმენტებს. პირველადი დოკუმენტები შედგენილია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, შ.პ.ს. „ველფარ ინტერნეიშენალი“ პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც თანდართულია წინადებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „აუდიტ-რეფორმატორი“-ს (SARAS-F-790216.)

სახელით

გარიგების პარტნიორი

ლერი მჭედლიძე

SARAS-A-289584

28 სექტემბერი, 2022 წელი

ფორმა N 1-ფინანსური მდგომარეობა

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 228 460.00	334 118.00	384 271.00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (არარეზიდენტები)	61 076 781.00	88 603 823.00	64 371 403.00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0.00	0.00	0.00
გადახდილი ავანსები	0.00	0.00	0.00
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება/მიწოდება	0.00	0.00	0.00
მარაგები:			
საქონელი	7 482 009.00	12 093 691.00	10 650 177.00
სხვა მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)	0.00	0.00	4.00
ძირითადი საშუალებები:	46 566.00	53 568.00	63 179.00
მიწის ნაკვეთები	0.00	0.00	0.00
შენობები	0.00	0.00	0.00
მანქანა - დანადგარები	0.00	0.00	0.00
ოფისის აღჭურვილობა	1 198.00	1 497.00	25 465.00
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11 980.00	13 383.00	2 329.00
სატრანსპორტო საშუალებები	0.00	0.00	0.00
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	33 388.00	38 688.00	62 227.00
არამატერიალური აქტივები	0.00	0.00	0.00
სულ აქტივები	69 833 816.00	101 085 200.00	75 469 034.00

შპს „ველფარ ინტერნეშენალი“ ს/ნ 415091830
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ვალდებულებები	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2019
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	214 624.00	484 055.00	173 145.00
არარეზიდენტის ვალდებულებები	8 193 405.00	11 420 058.00	8 029 487.00
გადასახდელი ხელფასები	0.00	0.00	863.00
მოკლევადიანი სესხები	19 380.00	19 380.00	35 791.00
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	0.00	0.00	0.00
საგადასახადო ვალდებულებები	51 216.00	24 815.00	8 510.00
გრძელვადიანი სესხები	2 014 110.00	2 164 194.00	1 894 116.00
გადასახდელი პროცენტები	1 040 183.00	946 241.00	675 948.00
მიღებული ავანსები	0.00	0.00	9373
სულ ვალდებულებები	11 532 918.00	15 058 743.00	10 808 487.00

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს -ში	0.00	0.00	0.00
გაუნაწილებელი მოგება	58 300 898.00	86 026 457.00	64 660 547.00
დაუფარავი ზარალი	0.00	0.00	0.00
რეზერვი გაუნაწილებელ მოგებიდან	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0.00	0.00	0.00
სხვა რეზერვები	0.00	0.00	0.00
სულ საკუთარი კაპიტალი	58 300 898.00	86 026 457.00	64 660 547.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	69 833 816.00	101 085 200.00	75 469 034.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

ფორმა N 2-საქმიანობის შედეგები

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი
ამონაგები:	66 163 380.00	57 464 889.00
მომსახურების გაწევის საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვის საქმიანობიდან	66 163 380.00	57 464 889.00
საწარმოო საქმიანობიდან		
სხვა საქმიანობიდან		
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	-29 541 695.00	-24 233 624.00
საერთო მოგება	36 621 685.00	33 231 265.00
კომერციული ხარჯები	-1 160 808.00	-866 462.00
ადმინისტრაციული ხარჯები	-2 369 971.00	-1 886 807.00
სხვა საწარმოო ხარჯები	-489 987.00	-435 021.00
	0.00	0.00
	0.00	0.00
საოპერაციო მოგება	32 600 919.00	30 042 975.00
სხვა ფინანსური შემოსავალი	0.00	0.00
სხვა ფინანსური ხარჯი	-150 430.00	-168 450.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3 507 402.00	26 285 673.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	- 34 408 460.00	- 18 861 841.00
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	1 549 431.00	37 298 357.00
მოგების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა	3 789 150.00	2 544 940.00
მოგების გადასახადი 4%	-151 566.00	-101 798.00
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	1 397 865.00	37 196 559.00
განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ დარიცხული დივიდენდები)		-15 830 649.00
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		21 365 910.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი

ფორმა N 3-ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2020წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	80 343 563.00	60 002 838.00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	-500 901 41.00	-44 054 783.00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	30 253 422.00	15 948 055.00
გადახდილი გადასახადები	-236 730.00	-151 149.00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	30 016 692.00	15 796 906.00
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	0.00	0.00
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	0.00	0.00
მიღებული პროცენტები	0.00	0.00
მიღებული დივიდენდები		
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	0.00	0.00
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებად		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		
სესხის ძირის გადახდა		-16 411.00
სესხის პროცენტის გადახდა		
დივიდენდების გადახდა	-29 122 350.00	--15 830 649.00
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-29 122 350.00	-15 847 060.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	894 342.00	-50 154.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	334 118.00	384 272.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 228 460.00	334 118.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

შპს „ველფარ ინტერნეშენალი“ ს/ნ 415091830
 საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N 4-საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

დასახელება	საწყისდებო კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სხვა სარეზერვო კაპიტალი
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0.00	86 026 457.00	0.00	0.00
შემოსავალი სულ		1 397 865.00		
მოგების განაწილება		0.00		
პარტნიორთა შენატანები (საპაიო და სხვა)				
დანარჩენი შემოსავალი				
მიღებულია რეორგანიზაციით				
ძირითადი საშუალებების გადაფასებით				
ზარალის დაფარვა				
დაუბრუნდა პარტნიორებს (მეპაიეებს)				
ძირითადი საშუალებების გადაფასებით				
გატანილი დივიდენდები		-29 122 350.00		
დანარჩენი გასავალი		-1074.00		
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	0.00	58,300,898.00	0.00	0.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ველფარ ინტერნეიშენალ“ არის შუღლული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2014 წლის 24 აპრილს შპს „ველფარ ინტერნეიშენალ“ (შემდგომში „კომპანია“) მდებარეობს მისამართზე: ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), მიწის ნაკვეთის შიდა ნომერი 1D-5/G

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:
ვაფადარ ჰასანოვ, P4910483 /აზერბაიჯანი/ – 100,00%

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად, მსს ფასს-ის 1-განყოფილების „მცირე და საშუალო საწარმოები“ და 3-ე განყოფილების „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ გამოყენების დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მსს ფასს-ის მიხედვით კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: ფინანსური შედეგების (ანუ მოგება–ზარალი) ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის – ფინანსური მდგომარეობის (ანუ ბალანსები) ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2021 წელი) მოგება–ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2021 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს –ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის მსს ფასს–ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს „ველფარ ინტერნეიშენალ“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი ან საქრთველოს კომერციული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი, არჩევანი ამ ორ უკანასკნელ წყაროს შორის განისაზღვრება კონტრაქტით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღრიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.3.3. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებს სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5–10 წლამდე
სხვა (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა)	10 წლამდე

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვისთვის განკუთვნილი, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღრიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, საქონელი წარმოდგენილია ფარმაცევტური საქონლის ფართო ასორტიმენტით. საქონლის გაყიდვებთან დაკავშირებულ პროცესში, როგორც საბითუმო ისე საცალო, წარმოქმნილ რისკებს კომპანია იღებს საკუთარ პასუხისმგებლობაში.

გასაყიდი საქონლის მარაგები კომპანიას გააჩნია, რომლებიც აღრიცხულია და დაცულია სასაწყობო მეურნეობაში.

3.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქრთველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომში – თიზ-ის საწარმო) ვალდებულია საქრთველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4% არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქრთველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაგრამ შემდგომ ისინი არ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიას აქვს სესხი კომპანიის დირექტორის და არარეზიდენტი კომპანიის წინაშე. სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.11 მსს ფასს-ის ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათ ძალაში შესვლისთანავე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ერთი არსებული სავაჭრო მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორების არსებითმა ნაწილმა, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, გარკვეული ოდენობით დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანება.

5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავალი შედგება ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან. შპს „ველფარ ინტერნეიშნალ“-ი საქონელს ყიდულობს როგორც ადგილობრივი მომწოდებლებისაგან ისე აკეთებს იმპორტირებას.

კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს ადგილობრივი და იმპორტირებული საქონლის შესყიდვის ღირებულებას. იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია, ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს არა აგენტის, არამედ საქონლით მოვაჭრის აქტიურ ფუნქციას.

შემოსავლები	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	66 163 380	57,464,889
წმინდა არასაოპერაციო დადებითი ეფექტი (საკურსო)	2,030,989	9,065,228
თვითღირებულების ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
	29 541 695	24,233,624

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები	234827.04	219,293.92
იჯარის ხარჯი	122852.75	119,910.65
ცვეთა და ამორტიზაცია	8371.56	9,609.07
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	1160808.83	866,461.63
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	1 526 874.67	1,520,977.81
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	1800.00	11,367.05
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯი	34311.91	39,917.20
სხვა შეძენილი მომსახურება	440931.61	87,277.65
სხვა საოპერაციო ხარჯი	489987.63	315,110.19
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	4,020,766.00	3,189,925.17

2021 წლის განმავლობაში კომპანიას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა 9 თანამშრომელი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნახევარზე მეტი მოდის ტრანსპორტირებაზე და გადაცემაზე (1 526 874.67 ლარი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი (1 160 808.83 ლარი), წარმოადგენს კომპანიის პროდუქციის რეკლამირების ხარჯს საზღვარგარეთ.

7. სხვა საოპერაციო ხარჯი

შპს „ველფარ ინტერნეიშენალ“-ის 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებულია სხვა საოპერაციო ხარჯი 489987.63 ლარი. სხვა საოპერაციო ხარჯების დიდი ნაწილი მოდის ფარმაცევტული პრეპარატების სარეგისტრაციო მოსაკრებელზე.

8. ფინანსური ხარჯი

	2021	2020
ფინანსური ხარჯი არა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებზე (ა)	150 430.00	168,450.32
ფინანსური ხარჯი ბანკისგან აღებულ სესხებზე(ბ)	0,00	0,00
სულ ფინანსური ხარჯი	150 430.00	168,450.32

ა. არასაფინანსო ინსტიტუტიდან - მომწოდებლისაგან სესხად კლასიფიცირებულ თანხები - 2,033,490 ლარი

ბ. ამასთან, კომპანიას არ ააქვს აღებული სესხი/ აკრედიტივი ფინანსური ინსტიტუტებიდან.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2021	31.12. 2020	31.12.2019
ფული ბანკში	1,228,460	332,893	370,063
ფული სალაროში	0.00	1,125	5,527
	1,228,460	334,118	375,590

ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12. 2020	01.01.2019
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	61 076 781	88,603,823	64,371,403
მოთხოვნები კერძო პირების მიმართ	0,00	0,00	0,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0,00	0,00	0,00
სხვა მოთხოვნები (საბაჟოს მიმართ)	0,00	0,00	0,00
სავაჭრო მოთხოვნები	61 076 781	88,603,823	64,371,403

